

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის

განცხადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 124-ე მუხლის თანახმად, მოგმართავთ, რომ რეგისტრაციაში გაატაროთ არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის განცხადება.

წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტები და საინიციატივო ჯგუფის წევრთა შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი და ხელმოწერა.

გთხოვთ, აღნიშნული მასალები წარუდგინოთ საქართველოს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას, რომ ბიურომ ისინი რეგლამენტით დადგენილი წესით გადასცეს საპროცედურო საკითხთა და წესების დაცვის კომიტეტს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

| N | სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | მისამართი | პირადი ნომერი | ტელეფონის ნომერი | ხელმოწერა |
|---|--------------------|------------------|-------------------------|---------------|------------------|----------------|
| 1 | ვახუშტი ჯორჯიანი | 06.11.71 | განაჭიანი ქ. 9 გ. 53 | 01009008554 | 595850044 | ე. ჯორჯიანი |
| 2 | გიორგი ვაჩიკაშვილი | 07.07.65 | მთაწიანი, სკოლა №7 | 33001002423 | 595850045 | გ. ვაჩიკაშვილი |
| 3 | ვლადიმერ ვოვხაძე | 11.03.75 | ქ. შიშქიძის ქუჩა 25 | 01017006762 | 595850091 | ვ. ვოვხაძე |

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმის ნაარზის დეპარტამენტი
შემოს. № 1-9153/19
10.05.2019წ. ფურც. 14

| | | | | | | |
|----|---------------------|------------|---------------------------------|-----------------|-----------|--|
| 4 | Ինձ ԵՏՅ Լ. Մ. Մ. | 19.10.77 | ԱՅԿԱԿ ՏՊՈՒՄ 5 | 07075000 606 | 59538235 | |
| 5 | Ինձ ՅՆԿԱՆԻ | 09.09.76 | ԱՅԿԱԿ ՄԱՆ. ՅՈՐ N38, ՏN12 | 01012017746 | 595400045 | |
| 6 | Ինձ ՅՆԿԱԿ | 12.01.60 | ԿՅՅԿ ՄՄ | 44001002624 | 591939489 | |
| 7 | Ինձ ՅՆԿԱԿ | 20.12.1969 | ԱՅԿԱԿ ՈՒՍ. ՏՈՒ 4 | 0102200429 | 577446244 | |
| 8 | Ինձ ՅՆԿԱԿ | 13.04.1981 | ԱՅԿԱԿ ԿՅՅԿ ՅՆԿԱԿ ՅՆԿԱԿ | 01009010335 | 599446888 | |
| 9 | Ինձ ՅՆԿԱԿ | 01.06.1960 | ԿՅՅԿ ՄՄ | 0100800358 | 577442404 | |
| 10 | Ինձ ՅՆԿԱԿ | 24.09.1991 | ԱՅԿԱԿ ԱՅԿԱԿ ՅՆԿԱԿ | 01031006505 | 577260026 | |

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, NN№31-33, მუხ. 668) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვალოდ, 10 წლის ვადით, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.“.

2. 63-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საერთო სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლის შეუცვლელიობა გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვალოდ განსაზღვრული ვადით განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.“.

6. საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ორგანული კანონით. საერთო სასამართლოს მოსამართლედს თანამდებობაზე განწესდება უვალოდ, განწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.—მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით. გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს მოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის და არამოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა. მოქალაქეთა მიზანია დამკვიდრდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორია სასამართლო ხელისუფლება და გარანტირებულია თუ არა მისი დამოუკიდებლობა. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების განხორციელების დროს სასამართლო იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რათა გარანტირებულ იყოს მოქალაქეთა კონსტიტუციური დაცვის გარანტიები.

იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო დამოუკიდებლად, თავის მხრივ, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ კრიტერიუმებზე:

- მოსამართლეთა დანიშვნის მეთოდები და წესი;
- უფლებამოსილების ვადა;
- გარე ზეწოლისგან დაცვის შესაბამისი გარანტიები;
- რამდენად ტოვებს სასამართლო დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას და აქვს თუ არა საზოგადოებას ნდობა.

საქართველოში 2012 წლის შემდეგ უკვე განხორციელდა სასამართლო რეფორმის სამი ეტაპი. 2017 წლიდან იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით დაიწყო რეფორმის ე.წ. მე-4 ეტაპი, რომლის დღის წესრიგშიც შევიდა შემდეგი საკითხების გადაჭრა: სასამართლო გადატვირთულობის პრობლემის, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და პროცედურის დახვეწა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა.

ამ რეფორმის ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგი უნდა ყოფილიყო იუსტიციის საბჭოს საქმიანობის მოწესრიგება, იუსტიციის სკოლის რეალური რეფორმა, მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურის დახვეწა და სასამართლო სისტემის დაკომპლექტება იმ მოსამართლეებით, ვინც პიროვნული და

პროფესიული თვალსაზრისით შეესაბამებიან ამ მაღალს სტატუსს, იმსახურებენ ნდობას და არა აქვთ წარსულში ისეთი გადაწყვეტილებები მიღებული, რომელიც პოლიტიკური მოტივით იყო ნაკარნახევი.

მოსამართლეთა უვადოდ გამწესების კონსტიტუციური ჩანაწერი ამოქმედდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ამ პერიოდში დაიწყო სასამართლო რეფორმის ახალი პროცესი, თუმცა ნაცვლად რეფორმით დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგებისა, რომ ეტაპობრივად, ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის საბჭოს მიერ განახლებულიყო არსებითად სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობა და სამართლიანად მომხდარიყო გადაწყვეტილებების მიღება, დაიწყო 2017 წლიდან უვადოდ გამწესება იმ მოსამართლეების ვის მიმართაც არსებობდა წარსულში მწვავე კითხვები.

მასიური სახე მიიღო გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე მოსამართლეების უვადოდ გამწესებამ და ეს აღმოჩნდა არა საგამონაკლისო წესი, არამედ უმეტეს შემთხვევაში სწორედ ვადის გასვლამდე დაუსაბუთებლად იუსტიციის საბჭო უვადოდ ნიშნავდა მოსამართლეებს. ამ პროცესმა კრიტიკა დაიმსახურა საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში. დღეის მდგომარეობით სასამართლო ხელისუფლების თითქმის ნახევარი მოსამართლეებისა უვადოდ არის გამწესებული.

ამ პროცესის დრამატული მოვლენა გახდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლის 24 დეკემბერს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებად 10 კაციანი სიის ისე გამოგზავნა, რომ რა პროცესი უძლოდა წინ ამ სიის შედგენას არავისთვის ცნობილი არ იყო. არ ყოფილა დაცული არანაირი საჯაროობა და გახსნილობა. ამ ფაქტს მოყვა საკმაოდ მძიმე პროცესები.

მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცესმა საზოგადოებაში იმდენად ნეგატიური პროცესები გამოიწვია, რომ ნდობა მნიშვნელოვნად დაიკარგა სასამართლოს მიმართ. ნდობის არ არსებობა კი უდიდესი საფრთხის შემცველი. საჭიროა დასრულდეს სასამართლოს რეფორმა ისეთი შედეგით, რომ ეჭვს არ იწვევდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება მოსამართლეთა უვადოდ განწესების საკითხს დაუბრუნდეს ქვეყანა. იქამდე კი მოსამართლის უვადოდ განწესების საკითხი უნდა შეიცვალოს ვადიანი განწესებით. ეს ცვლილება უნდა შეეხოს ყველას, მათ შორის მათ ვინც უკვე არჩეულია.

შესაბამისად ორგანულმა კანონმა უნდა დაარეგულიროს კონსტიტუციური ცვლილების შემდგომ უვადოდ არჩეულ მოსამართლეთა განსაზღვრული ვადით გადაყვანის სამართლებრივი საკითხები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კონსტიტუციური კანონის მიღება აუცილებელია, ვინაიდან სხვაგვარად სამართლებრივი საფუძველი მოსამართლეების განსაზღვრული ვადით განწესებისათვის არ იარსებებს.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოსამართლეები, განწესდებიან განსაზღვრული, კონკრეტული ვადით. ხოლო ის მოსამართლეები, რომლებიც უკვე არიან განწესებულნი უვადოდ, განწესდებიან განსაზღვრული ვადით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს პარლამენტი.

სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს განსაზღვრული ვადით განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

რაც შეეხება, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს, მათი თანამდებობაზე განწესება მოხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. ამასთან, გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს მოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის და არამოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. იგივე ქვორუმით უნდა მოხდეს იუსტიციის საბჭოს მიერ პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ვინაიდან არ არსებობს კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულაციების ამოქმედების გადავადების საფუძველი და ამასთან მნიშვნელოვანია მოსამართლეთა უვადოდ გამწესება შეჩერდეს უმოკლეს დროში კანონი უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ვადით განწესებული მოსამართლე, ვადის გასვლის შემდეგ ახალი ვადით აღარ განწესდება, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემცირდება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ვადით განწესებული მოსამართლე, ვადის გასვლის შემდეგ ახალი ვადით აღარ განწესდება, მისი ფინანსები შემცირდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის

გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კონსულტაციები გაიმართა პროფესიულ წრეებთან, იურისტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

კანონპროექტის მომზადების დროს შესწავლილი იქნა საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე ევროკავშირის, ევროპის საბჭოს და ა.შ.ს საელჩოს რეკომენდაციები.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საინიციატივო ჯგუფი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.10.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010010000.01.001.016012) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის ამოქმედებისას უვადოდ განწესებული მოსამართლე ორგანული კანონით დადგენილი წესით განწესდება განსაზღვრული ვადით. 2024 წლის 31 დეკემბრამდე პირველად განწესების შემთხვევაში უვადოდ განწესებამდე მოსამართლე თანამდებობაზე შეიძლება განწესდეს 3 წლის ვადით. განსაზღვრული ვადით განწესებულ მოსამართლეზე მოსამართლის უვადოდ განწესების დათქმა გავრცელდეს ორგანული კანონით დადგენილი წესით მისი უვადოდ განწესების შემთხვევაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოში დამოუკიდებელი და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 პირველი მუხლის მოთხოვნებს საქმის დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების შესახებ. მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი ინტეგრალური კომპონენტი არის მოსამართლეთა გამწესების პროცედურა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და პასუხობდეს გამჭვირვალობისა და სანდოობის მოთხოვნებს.

კანონპროექტის მიზანია სასამართლო ხელისუფლება იყოს სამართლიანი, დაკომპლექტდეს კვალიფიციური, კეთილსინდისიერი, კომპეტენტური და მაღალი სანდოობის მქონე მოსამართლეებით. ამისთვის კი აუცილებელია გატარდეს სასამართლო რეფორმა სრულად, გატარდეს იუსტიციის სკოლის რეალური რეფორმა, იუსტიციის საბჭოს საქმიანობის მოწესრიგება, შეიცვალოს იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა და დარეგულირდეს მოსამართლეთა არცევის პროცედურები. რეფორმის დადებით შედეგამდე კი მოსამართლეთა უვადოდ განწესება კონსტიტუციით უნდა შეიცვალოს ვადიანი განწესებით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კონსტიტუციური კანონის მიღება აუცილებელია, ვინაიდან უვადოდ განწესებული მოსამართლეების განსაზღვრული ვადით განწესების რეგულირება მოხდეს.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოსამართლეები, რომლებიც არიან განწესებულნი უვადოდ, განწესდებიან განსაზღვრული ვადით. ეს ცვლილება აუცილებელია მართლმსაჯულების რეფორმის დასრულებამდე, რომლის შედეგი უნდა იყოს ყველა იმ პრობლემის აღმოფხვრა რაც დღეს არსებობს სასამართლო ხელისუფლებაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, ის მოსამართლეები, რომლებიც უვადოდ არიან განწესებულნი, განწესდებიან განსაზღვრული ვადით.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ვინაიდან არ არსებობს კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულაციების ამოქმედების გადავადების საფუძველი და ამასთან მნიშვნელოვანია მოსამართლეთა უვადოდ გამწესება შეჩერდეს უმოკლეს დროში კანონი უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ უვადოდ განწესებული მოსამართლე განწესდება განსაზღვრული ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი აღარ განწესდება ახალი ვადით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემცირდება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება. კერძოდ, უვადოდ განწესებული მოსამართლის განსაზღვრული ვადით განწესების შემდეგ, თუ მისი ახალი ვადით განწესდება აღარ მოხდება, მისი ფინანსები შემცირდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კონსულტაციები გაიმართა პროფესიულ წრეებთან, იურისტებთან, ექსპერტებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად

იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ამგვარი ქვეყნების გამოცდილება გამოყენებული არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საინიციატივო ჯგუფი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი.